უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№13 (20) 2013

რექტორის სვეტი

2013 წელი, 95-ე წელი თსუ-ს დაარსებიდან, ჩვენთვის კვლავ ახალი გამოწვევების წელია. თითქმის საუკუნოვანი გამოცდილება უნივერსიტეტისთვის უპირატესობაცაა და დიდი ტვირთიც – დღეს ჩვენ უნდა შევძლოთ უნივერსიტეტს შევუნარჩუნოთ საუკეთესო ტრადიციები და, ამავდროულად, ვუპასუხოთ ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს.

გვ. 3

2013 – თსუ საიუბილეო წელი

95 იარე ჩვენთან ერთად

2013 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საიუბილეო წელია. როგორ ემზადება თსუ 95 წლის იუბილესთვის, რა პროექტები განხორციელდა ამ თარიღთან დაკავშირებით თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ და რა ღონისძიებები იგეგმება მომავალში? ამ საკითხზე ვესაუბრეთ თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნანა მამაგულიშვილს.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საიუბილეო წელი 2012 წლის ბოლოს გამოცხადდა და 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით რამდენიმე პროექტი და ღონისძიება დაიგეგმა," – ამბობს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნანა მამაგულიშვილი. მისი განმარტებით, საიუბილეო წელთან დაკავშირებით თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ორი სტუდენტური პროექტი უკვე განახორციელა – ფოტოკონკურსი: „UNI-კადრი" და შემეცნებითი-სათავგადასავლო პროექტი „სექტორი-12". ფოტოკონკურსი უნივერსიტეტში ერთი თვის მანძილზე ტარდებოდა და თითოეულ მონაწილეს საშუალება ჰქონდა გადაეღო უნივერსიტეტის ამსახველი უნივერსალური კადრი. გამარჯვებულები სამ სხვადასხვა ნომინციაში გამოვლინდნენ. სტუდენტებისთვის დამაინტრიგებელი აღმოჩნდა პროექტი „სექტორი 12". „სათავგადასავლო ტურის მეშვეობით ჩვენ შევეცადეთ, სტუდენტები დაგვეინტერესებინა უნივერსიტეტის ისტორიით. მცდელობამ გაამართლა – კონკურსი სტუდენტების მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდა". – ამბობს ნანა მამაგულიშვილი.

სტუდენტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საახალწლო პროექტმაც. როგორც თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი აღნიშნავს, 2013 წელი განსხვავებულად აღინიშნა უნივერსიტეტში: "პირველი კორპუსის ფოიეში განვთავსეთ 4 მეტრის სიმაღლის საახალწლო ნაძვის ხე. პროექტმა „ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად" ყველა სტუდენტს მისცა საშუალება დაეწერა თავისი საახალწლო სურვილი სპეციალურ ბარათზე

გაგრძელება მე-2 გვ.

„მე – უნივერსიტეტი"

ფოტოდან ზოგი პირდაპირ შენსკენ მომართული მზერით, ზოგიც – სივრცეში მომზირალი, მონაცრისფრო ფონზე აღბეჭდილი 30 ადამიანი იყურება. ერთმანეთისგან ასაკით, პროფესიით თუ, სულაც, ხასიათით განსხვავებული არიან. ერთი შეხედვით მათ, ფონის გარდა, საერთო მხოლოდ პატარა სამკერდე ნიშანი აქვთ. უფრო კარგად თუ დააკვირდები, აღმოაჩენ, რომ მათი უმეტესობა, თავის სფეროში წარმატებული ადამიანია, ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი და, ზოგჯერ, ბრენდად ქცეულიც კი. საერთო მათ კიდევ თავისი სტუდენტური წარსული ან აწმყო აქვთ, რადგან თითოეული მათგანი უნივერსიტეტელია.

„მე – უნივერსიტეტი" – ფოტოპროექტი ასეთი სახელწოდებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეს აღსანიშნავად თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით დაიწყო.

გაგრძელება მე-2 გვ.

განახლებული tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტი საიუბილეო წელს განახლებული ვებ-გვერდით შეხვდება. მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული, მარტივად აღსაქმელი და მაქსიმალურად ინფორმაციული – ასეთია კონცეფცია, რომლითაც უნივერსიტეტის საიტის განახლება ხდება.

გვ. 2

„Rettulit – ლიტერატურული დაბრუნება" – წიგნი უნივერსიტეტგე უნივერსიტეტელებისთვის

თამაზ ჭილაძე, გივი შაჰნაზარი, გივი ალხაზიშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, დათო ტურაშვილი, დიანა ანფიმიადი, მაკა ლდოკონენი, თეონა დოლენჯაშვილი, მარიამ ბექაური (თსუ მაგისტრანტი), დავით გორგილაძე, სალომე ბენიძე, გაგა ნახუცრიშვილი, ინა არჩუაშვილი, ეკატერინე ტოგონიძე, დავით ბაბიაშვილი (თსუ მესამე კურსის სტუდენტი) —15 სხვადასხვა თაობის მწერალი წიგნში „Rettulit – ლიტერატურული დაბრუნება" სტუდენტური მოგონებებით ერთიანდება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრუნდება.

წიგნის ილუსტრაციებიდან

მწერლები, რომლებიც უნივერსიტეტში სხვადასხვა დროსა და ეპოქაში სწავლობდნენ, საკუთარ მოგონებებში თუ მხატვრულ ნაწარმოებში სტუდენტური ცხოვრების დეტალებს აცოცხლებენ, იხსენებენ ჩვეულებრივი სტუდენტური ყოფის სასაცილო თუ სევდიან ისტორიებს, მნიშვნელოვან და, ერთი შეხედვით, უნიშვნელო დეტალებს, ფაქტებს, რომლებმაც მათი ცხოვრება შეცვალა, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ამ მხატვრული ხერხით ისინი წარსულში აბრუნებენ ყველა თაობის ადამიანს, ვინც უნივერსიტეტში სწავლობდა, ვისაც უნივერსიტეტში გაუვლია ან უბრალოდ უნივერსიტეტელობაზე უოცნებია.

როგორც წიგნის „Rettulit – ლიტერატურული დაბრუნების" იდეის ავტორნი – თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები მაკა სეხნიაშვილი და ნინო კალანდია ამბობენ, „Rettulit – ლიტერატურული დაბრუნება", რომელიც თსუ 95 წლის იუბილესათვის შეიქმნა, არის სახსოვარი როგორც უნივერსიტეტისთვის, ასევე უნივერსიტეტელებისთვის, რადგან იგი ერთგვარი ისტორიაა თსუ-სა და მის კურსდამთავრებულებზე. წიგნის პრეზენტაცია უნივერსიტეტის იუბილეზე, 8 თებერვალს გაიმართება და იგი საჩუქრად გადაეცემა უნივერსიტეტელებს და მოწვეულ სტუმრებს.

მაკა სეხნიაშვილის განმარტებით, წიგნის სათაურის ლათინური ნაწილიც „Rettulit" – პირველი ქართული უნივერსიტეტის

გაგრძელება მე-3 გვ.

„თსუ-მეცნიერება"

გამოცემა მათთვის, ვისაც მეცნიერება აინტერესებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წელთან დაკავშირებულ საიუბილეო ღონისძიებებს შორის ერთ-ერთია თსუ სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება" მესამე ნომრის პრეზენტაცია, რომელიც თებერვლის პირველი რიცხვებისთვის არის დაგეგმილი. თსუ პირველი უნივერსიტეტია, რომელსაც დღეს მსგავსი, მრავალთემატური სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა გააჩნია.

„ჟურნალის გამოცემის იდეა უნივერსიტეტში შემთხვევით არ გაჩენილა. გარდა იმისა, რომ თსუ, ისტორიულად, სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბების ტრადიციის საფუძველდამდებია, ის დღესაც პირველია მიმდინარე კვლევების რაოდენობით საქართველოში. თსუ-სა და მის ინსტიტუტებში დღეისთვის 200-მდე კვლევა მიმდინარეობს – საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების დაფინანსებით. უნივერსიტეტი ასევე

გაგრძელება მე-2 გვ.

სურვილების ხე

პროექტმა „ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად" ყველა სტუდენტს მისცა საშუალება დაეწერა თავისი სურვილები და ნაძვის ხეზე თსუ აღმინისტრაციისთვის დაეტოვებინა.

2013 წლის 8 თებერვალს, სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილეზე, დაპირებისამებრ, სამი ყველაზე ორიგინალური და მოტივირებული სურვილის ავტორი დასახელდება, რომელთა სურვილების შესრულებაზე უნივერსიტეტის აღმინისტრაცია იზრუნებს.

გვ. 2

„მე – უნივერსიტეტი“

პირველი გვერდიდან

ფოტოგრაფ მინდია მიდელაშვილის მიერ გადაღებული წარმატებული უნივერსიტეტელების სურათები მთელი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გამოიფინება. პირველ 30 პორტრეტს უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე 8 თებერვალს იხილავთ.

მინდია მიდელაშვილი უკვე 10 წელია პორტრეტებზე მუშაობს. უნივერსიტეტთან ადრეც უთანამშრომლია. ფიქრობს, რომ ფოტოპროექტის ეს სერია საინტერესო გამოვა, რადგან ამის საშუალებას გარემო და პირობები იძლევა, ამას გარდა, ბუნებრივია ის ადამიანები, ვის პორტრეტზეც იგი იმუშავებს. “პორტრეტი საპასპორტო სურათი ხომ არ არის, რომ თეთრ ფონზე სკამზე ჩამომჯდარ ადამიანს გადაუღო სურათი. აქ მთავარი მისი პიროვნების წარმოჩენაა. ამისათვის ამ ადამიანს უნდა იცნობდე”. ფოტოგრაფი თავისი “ობიექტების” ნაწილს გადაღებამდეც იცნობდა, დანარჩენების გასაცნობად ან უბრალოდ მათთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად თითოეული ფოტოს გადაღებისთვის საშუალოდ საათნახევარი გათვალა.

ფოტოგადაღებების პირველ დღედ 2013 წლის 23 იანვარი ჩაინიშნა. რა იყო და არის მისთვის უნივერსიტეტი?- ეს კითხვა ამ დღეს მოსულ ყველა უნივერსიტეტელს დავუსვით. გადაღება კი პოლიტოლოგ ალექსანდრე რონდელით დაიწყო.

„უნივერსიტეტმა მუყაითი შრომა, წიგნების და ბიბლიოთეკის სიყვარული მასწავლა, თუმცა, ქართულ სიზარმაცეს ბოლომდე მაინც ვერ გავექეცი. ადრე თუ გამოცდების ჩაბარება მეზარებოდა, ახლა გამოცდების მიღება მეზარება ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სტუდენტობა სსრკ-ის პერიოდს დაემთხვა, ეს დრო მაინც კარგად მაგონდება. ბევრი რამის გამო. ისიც მახსოვს, აქვე ფეხბურთის გულშემატკივართა “ბირჟა” რომ გვქონდა მოწყობილი და ვმსჯელობდით, როგორი იქნებოდა ჩვენი გუნდი წლების შემდეგ, ვისი დროშით გამოვიდოდით. არა და რა ტყუილად”. – სტუდენტობის დროის გასვლასთან ერთად, გაცრუებული იმედებიც დაენანა პროფესორ ალექსანდრე რონდელს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი და არქეოლოგი დავით ლორთქიფანიძე “ხუთოსანი” არ ყოფილა, თუმცა, როგორც თავად ამბობს, კარგ ნიშნებზე სწავლობდა და თვლის, რომ უნივერსიტეტი რომ არ დაემთავრებინა, სულ ცოტა – ზეგვას და მზიას თავის ქალების შესწავლას ვერ შეძლებდა.

ფსიქოლოგ მარინა ჩიტაშვილისთვის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი ბავშვობის მოგონებებს უკავშირდება. ყოველთვის, როდესაც ბებიასთან ერთად მის პირველ კორპუსს ჩამოუვლიდა, ბებიას იმის შეხსენება არ ავიწყდებოდა, რომ ”იქ ყველზე ჭკვიანი ხალხი სწავლობდა”. ბუნებრივია, რომ ქალბატონ მარინას სხვაგან სწავლა არც უფიქრია. წლების განმავლობაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე თავად ასწავლის. მათ შორის იმ სტუდენტებსაც, “რომელთაც ჰგონიათ, რომ ყველაფერში უკვე უნივერსიტეტში მოსვლამდეც იციან.”

საქართველოს განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილისთვის ტექნიკურ საგნებზე ბევრად უფრო საინტერესო ჰუმანიტარული საგნები და განსაკუთრებით ფილოსოფია იყო. დღესაც სიამოვნებით იხსენებს ბევრი თავისი ლექტორის ლექციას და აცხადებს, რომ ფილოსოფიის მიმართულებით სწავლების კარგი კონცეფცია იყო შემუშავებული. გიორგი მარგველაშვილმა, უნივერსიტეტის წითელ დიპლომზე დამთავრება შესძლო. თავის სტუდენტობის პერიოდს იგი ორ ნაწილად ყოფს – ჯარამდე და ჯარის შემდგომ. როგორც ამბობს, პირველი პერიოდი მეორეზე უფრო მსუბუქად და სასიამოვნოდ ახსენდება, მაგრამ მისთვის უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც ადამიანი ისეთ რაღაცას სწავლობს, რასაც სხვაგან ვერ ისწავლის, მათ შორის ურთიერთობის თვალსაზრისით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილისთვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლები საკუთარი სახლის შემდეგ ყველაზე მშობლიურია. დარწმუნებულია, რომ მისი კარიერა, მთელი მისი ცხოვრება თსუ-მ და მისმა იურიდიულმა ფაკულტეტმა განსაზღვრა. მართალია, რაღაც პერიოდი ყველაზე დიდი დრო ლენინის ტომებიდან საკურსო თემების მომზადებაზე ეკარგებოდა, მაგრამ შემდეგ სწავლაც და მუშაობაც უფრო ადვილი და სახალისო გახდა. “ყოველთვის, როდესაც უნივერსიტეტს ჩამოვუვლი, ვიწყებ მზერას ბაღიდან და ველოდები, თუ როდის გამოჩნდება ის ფანჯარა. ის ფანჯარა კი იურიდიული ფაკულტეტის დეკანატის ფანჯარაა, რომელიც ბაღის ბოლოს არის.”- ასეთი განწყობა აქვს დღემდე დავით უსუფაშვილს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ ალექსანდრე კვიტაშვილს თავიდან სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარების მცდელობა ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით საკუთარი სურვილით გადაიფიქრა და ისტორიკოსობა გადაწყვიტა. მისთვის სტუდენტობისდროინდელი უნივერსიტეტი მეგობრობას და იმ ურთიერთობების ჩამოყალიბებას უკავშირდება, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ მიჰყვება ადამიანს. თუ პირველი კორპუსის წინ დგომა გარკვეულად “სტატუსის ქონასა” და პრესტიჟულობასთან ასოცირდებოდა, კორპუსის უკან ბაღში ბიჭები უკვე საჩხუბრად იკრიბებოდნენ. დღეს მისთვის უნივერსიტეტში უკვე რექტორის სტატუსით ყოფნა ცოტა რთული, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნო და საპატიოა.

„ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე ვამბობ, რომ უნივერსიტეტში გატარებული ყოველი წელი ჩემთვის ბედნიერი იყო. დღესაც, რომ მიმიშვათ, შემიძლია ქუჩა-ქუჩა, „გაუღეამუს“ ვიმღერო“, – ეს უკვე მწერალი ანა სამადაშვილი-კორძაიაა. როგორც ამბობს, წერა მოგვიანებით დაიწყო, “რადგან წერა განსაცდელისაა”. უნივერსიტეტში გატარებული წლები კი მისთვის მხოლოდ ბედნიერების და სიხარულის მომტანი იყო.

ფოტოსესიის პირველი დღის ბოლო სტუმარი შოუმენი ვანო ჯავახიშვილი იყო. მისთვის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკუთარ თავთან ასოცირდება. უნივერსიტეტი მისი ტელევიზიაში მოღვაწეობისა და კარიერისათვის კარგი ტრამპლინი გამოდგა. თავისი ხუმრობებით გარკვეული პოპულარობა ჯერ კიდევ სტუდენტობისას მოიპოვა, რომელსაც თურმე პირველი კორპუსის წინ მდებარე “სახაჭაპურეში ტესტავდა” ... როგორც აღმოჩნდა – წარმატებით.

გადაღებები კიდევ რამდენიმე დღე მიმდინარეობდა. წარმატებულ უნივერსიტეტელთა შერჩევა კი კვლავ გრძელდება, რადგან ფოტოპროექტის პირველი ეტაპისათვის ჯერ მხოლოდ 30 უნივერსიტეტელია შერჩეული.

წარმატებული უნივერსიტეტელის შერჩევაში მონაწილეობის მიღების საშუალება უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელს აქვს. თითოეულ ადამიანს სამი იმ კურსდამთავრებულის დასახელება შეუძლია, ვინც მისთვის უნივერსიტეტთან ასოცირდება. სასურველი კანდიდატების ვინაობა მათ ფოტოპროექტის ელ-ფოსტაზე: universiteteli@tsu.ge შეუძლიათ გამოაგზავნონ. ცნობისათვის, უკვე წარმატებული თსუ-ელების პორტრეტების გვერდით კი დღეისათვის იმედის მომცემი სტუდენტების ფოტოებიც გამოიფინება.

განახლებული tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საიუბილეო წელს განახლებული ვებ-გვერდით შეხვდება. მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული, მარტივად აღსაქმელი და მაქსიმალურად ინფორმაციული – ასეთია კონცეფცია, რომლითაც უნივერსიტეტის საიტის განახლება ხდება. ვებ-გვერდი თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტების წარმომადგენელების თანამშრომლობით იქმნება. ვიზუალურ მხარეზე დიზაინერმა ლევან ასათიანმა იზრუნა.



„მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ვებ–გვერდის განახლების დროს მომხმარებლების რეკომენდაციები და შენიშვნები გაგვეთვალისწინებინა. შეიძლება ითქვას, რომ www.tsu.edu.ge სრულიად იცვლება, როგორც ვიზუალურად, ისე – სტრუქტურულად. გაიოლებულია ნავიგაცია. შევეცადეთ, რომ ყველა საინტერესო და საჭირო ბმული პირველ გვერდზე გამოგვეტანა. ასევე განახლდება საბავშვო უნივერსიტეტის და გამომცემლობის გვერდები“, – აცხადებს ვებ-გვერდის რედაქტორი, თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელი თამარ ცინცაძე.

მაგალითად, პირველივე გვერდზე განთავსებულ „სტუდენტთა მომსახურებაში“ – სტუდენტს საშუალება ექნება ნახოს როგორც სასწავლო ცხრილები, ასევე გამოცდების განრიგი, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა და სასწავლო პროცესის ვადები. აქედანვე იქნება შესაძლებელი გადასვლა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

კიდევ ერთი სიახლე ვებ-გვერდზე – ახალი საინფორმაციო პორტალი – “თსუ-online”-ია. ამ გვერდის საშუალებით სტუდენტებს თუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენელებს შეეძლებათ ინფორმაციის მიღება თსუ-ში, ან მისი ეგიდით მიმდინარე სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ, იქნება ეს კონფერენციები, საჯარო ლექციები ან სულაც, მოსაპოვებელი გრანტები. აქვე განთავსდება სტატიები თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მომზადებული სამეცნიერო ჟურნალიდან და საგაზეთო ჩანართიდან. მსურველებს სიახლეების გამოწერის შესაძლებლობაც ექნებათ.

“საიტს დაემატა თანამედროვე ვებ-ტექნოლოგიების ელემენტები. მაგალითად, საწყისი გვერდის სლაიდ-შოუ, ბრაუზერის სტანდარტული სქროლისგან განსხვავებული სქროლი. გამოყენებულია HTML5-ის და jQuery-ის ახალი ელემენტები. საწყისი გვერდი უფრო მოქნილი გახდა. საჭირო ინფორმაციის მიღება ბევრად გაიოლებულია“, – ამბობს ვებ-დეველოპერი გიორგი ჯავრიშვილი.

სურვილების ხე

„მინდა ერთი კვირა თსუ რექტორი ვიყო“... „მინდა ყველა ჩემი „მინდა“ ახდეს...“ „ძალიან გთხოვთ, დაურეკეთ ჩემს შეყვარებულს და ადმინისტრაციის სახელით უთხარით, რომ ძალიან მიყვარს“... „მინდა“... – მსგავსი, ან კიდევ უფრო უცნაური, სასაცილო თუ სერიოზული 1000-ზე მეტი თხოვნა თსუ სტუდენტებმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში განთავსებულ ნაძვის ხეზე დატოვეს.

სტუდენტებმა სურვილები 2012 წლის 28 დეკემბერს, საახალწლოდ, სპეციალურ ცისფერ ბარათებზე ჩამოწერეს. მათი აღრესატი თოვლის ბაბუას თუ სანტას ნაცვლად, თსუ ადმინისტრაცია იყო. სტუდენტებს საამისოდ ოფიციალური მიზეზი ჰქონდათ. გამოცდების, კოლოქვიუმების და შუალედურების რამდენიმე საათით დავიწყება, სურვილის ჩაფიქრება და ნაძვის ხის ერთობლივად მორთვა მათ თავად უნივერსიტეტის აღმინისტრაციამ შესთავაზა. იმიტომ, რომ “ყველა სურვილი აუცილებლად სრულდება, უბრალოდ ამას დრო და მონდომება სჭირდება”. უახლოეს მომავალში თსუ აღმინისტრაცია თავის სტუდენტებს სამი სურვილის შესრულებას დაპირდა.

”თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ოქტომბრიდან დაიგეგმა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთა შორის ერთ-ერთი საახალწლო ნაძვის ხესთან დაკავშირებული ეს ღონისძიებაც გახლდათ. საახალწლო ნაძვის ხის ამგვარად მორთვა ჩვენს დიზაინერთან ერთად

გაგრძელება მე-4 გვ.

2013 – თსუ საიუბილეო წელი

პირველი გვერდიდან

და განეთავსებინა ნაძვის ხეზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყველაზე ორიგინალური და მოტივირებული სამი სურვილის ავტორს 8 თებერვალს, 95 წლის იუბილეზე სურვილებს აუსრულებს.”

ნანა მამაგულიშვილის თქმით, საიუბილეო წელს უკავშირდება ახალი მუსიკალური ექსპერიმენტიც, რომელიც 8 თებერვალს გაცხადდება. ექსპერიმენტში ანსამბლი „უნივერსიტეტი“ და ჯგუფი „თსუ-არტ“ მონაწილეობენ. 8 თებერვალს გაიმართება პირველი ფოტოგამოფენაა. პროექტის სახელწოდებაა – „მე-უნივერსიტეტი“, რომელიც ცნობილ ფოტოგრაფ მინდია მიდელაშვილთან ერთად ხორციელდება. პროექტში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული უნივერსიტეტელები მონაწილეობენ. პროექტი რამდენიმე ეტაპიანია და მომავალში იგეგმება ფოტოალბომის გამოცემა.

„არანაკლებ საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის ლიტერატურული გამოცემა „Rettulit – ლიტერატურული დაბრუნება“, რომელსაც ასევე უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეზე იხილავს მკითხველი. სხვადასხვა თაობის მწერლების ლიტერატურული დაბრუნება უნივერსიტეტის წლებში, ვფიქრობ, ბევრ მკითხველს გაახსენებს ყველაზე საინტერესო პერიოდს ცხოვრებაში, რასაც სტუდენტობა ჰქვია,“ – აცხადებს ნანა მამაგულიშვილი.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში თებერვალშივე გაიმართება სამეცნიერო–პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ მესამე ნომრის და ახალი ვებ–გვერდის პრეზენტაცია.

”ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართული საზოგადოება სამეცნიერო–პოპულარული ლიტერატურის გამოცემებით განებივრებული არ ყოფილა. ამასთან, საზოგადოებისთვის უცნობი იყო იმ კვლევების და სამეცნიერო გამოგონებების შესახებ, რომელიც თსუ მეცნიერების მიერ ხორციელდებოდა. საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე და სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით, საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური გამოსცემს ფართოპროფილიან ჟურნალს „თსუ მეცნიერება“, რომელიც ორენოვანია. ეს კი მისი გავრცელების მასშტაბებს ზრდის და ქართველ მკითხველებთან ერთად ჟურნალს ეცნობა საერთაშორისო საზოგადოებაც,“ – ამბობს დეპარტამენტის უფროსი.

როგორც ნანა მამაგულიშვილი აცხადებს, უახლოეს პერიოდში თსუ-ს ექნება განახლებული ვებ–გვერდი.

„ვფიქრობ, ვებ-გვერდი თითოეული სტუდენტისთვის, პროფესორისთვის და, უბრალოდ, დაინტერესებული ადამიანისთვის ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მთავარი წყარო იქნება. საზოგადოების ინფორმირებისთვის აქტიურად ფუნქციონირებს თსუ–ს გვერდი სოციალურ ქსელებშიც. ჩვენი „facebook“–ის გვერდის მეშვეობით სწრაფად და ოპერატიულად ვრცელდება ყველა ის სიახლე, რომელიც საინტერესოა როგორც სტუდენტისთვის, ასევე ყველა უნივერსიტეტელისთვის. თსუ–ს 30 ათასამდე მეგობარი ინტენსიურად ეცნობა არა მარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, არამედ ყველა იმ აქტივობას, რაც უკავშირდება უნივერსიტეტს,” – ამბობს ნანა მამაგულიშვილი. მისი განმარტებით, საუნივერსიტეტო ცხოვრების გაცნობის საუკეთესო საშუალებაა საგაზეთო ჩანართი „უნივერსიტეტი“, რომელიც მესამე წელია ყოველთვიურად გამოდის და 35 ათასი ტირაჟით ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე. პროექტი მომავალში კიდევ უფრო საინტერესო სახით იქნება წარმოდგენილი.

”ასევე შევეცდებით წინა წლების მსგავსად განსაკუთრებულად აღინიშნოს კურსდამთავრებულთა გამოშვების ცერემონია. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ მანტიებით შეიმოსონ და ლამაზად აღნიშნონ ეს დღე. წლის განმავლობაში საიუბილეო ელფერი ექნება ჩვენ ტრადიციულ პროექტებს – „მისია 2013“ და „შემოდგომის ლეგენდა“, რომლებიც კიდევ ბევრი საინტერესო ხედვის სტუდენტის გამოვლენაში დაგვეხმარებიან,” – აღნიშნავს თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

ნანა მამაგულიშვილის განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელი საკმაოდ დატვირთულია სხვადასხვა ღონისძიებებით. დაგეგმილია რამდენიმე ახალი პროექტი და, საბოლოოდ, საიუბილეო წელიწადი შემოდგომაზე გალა ღონისძიებით შეჯამდება.

„Rettulit – ლიტერატურული დაბრუნება” – წიგნი უნივერსიტეტგე უნივერსიტეტელებისთვის

პირველი გვერდიდან

ისტორიის ნაწილია. ლათინური ენა, როგორც ცოდნის და მეცნიერების სიმბოლო, თავის დროზე ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ უნივერსიტეტის ბეჭედში გამოიყენა. სწორედ ქართულ-ლათინური შრიფტით – „ტფილისის უნივერსიტეტი – universitas tphilisensis“ ეძლეოდა ვიზა საუნივერსიტეტო დოკუმენტაციას, ვიდრე უნივერსიტეტის გასაბჭოება არ მოხდა. დღეს ეს ბეჭედი, როგორც თსუ-ს ერთ-ერთი რელიქვია, უნივერიტეტის ისტორიის მუზეუმშია დაცული.

„Rettulit – ლიტერატურული დაბრუნებას” დამატებით ხიბლს მატებს თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დიზაინერის ნინო ქუთათელაძის კალმით შესრულებული უნივერსიტეტის არქიტექტურის დეტალები, რომელიც სიმბოლურად არის დაკავშირებული მწერლების მოგონებებთან.

„მე სამხატვრო აკადემია დავამთავრე, მაგრამ როდესაც 15 მწერლის მოგონებებს ვკითხულობდი, ისინი ჩემთვის ერთ დიდ მოთხრობად – ”უნივერსიტეტად” გაერთიანდა. სწორედ ამ შეგრძნებით დავხატე ესკიზებიც,” – ამბობს ნინო ქუთათელაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ ”Rettulit – ლიტერატურული დაბრუნების” წაკითხვის შემდეგ ნებისმიერი მკითხველისთვის უნივერსიტეტი მშობლიური გახდება.

* * *

15 მოგონება 15-მა ცნობილმა მწერალმა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, უმოკლეს დროში დაწერა. მიზეზს დათო ტურაშვილი მოკლედ და მარტივად ხსნის: ”ჩემთვის უნივერსიტეტი ცხოვრების ისეთი ნაწილია, რომლის შესახებ წერა არასოდეს მომბეზრდება და, მით უმეტეს, იმ პერიოდის გახსენება არ გამიჭირდება, რომელიც უკავშირდება ჩემს მთავარ სიყვარულს და ახალგაზრდულ წლებს.”

ანა კორძაია-სამადაშვილი ”Rettulit – ლიტერატურული დაბრუნებისთვის” მოგონების წერას და თავად უნივერსიტეტის მნიშვნელობას ასე აფასებს: ”უნივერსიტეტში რვა წელი ვისწავლე. ჯერ სტუდენტი ვიყავი, მერე – ასპირანტი. ყველაზე ბედნიერი უნივერსიტეტში ვიყავი. ძნელი სათქმელია, რატომ. ალბათ, მეგონა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, რომ მერე დიდი, ლამაზი, არაჩვეულებრივი ცხოვრება მელის. შესაძლოა, ძალიან ახალგაზრდა რომ ვიყავი, ეს იყო მიზეზი. არ ვიცი, ვერ ვიტყვი. ბედნიერი კი ვიყავი.

ახლა უნივერსიტეტში ვმუშაობ და ბევრ ბედნიერ ადამიანს ვუყურებ. არ ვიცი, იციან თუ არა ჩემმა სტუდენტებმა, რომ ბედნიერები არიან. რაც მთავარია, მე ვიცი.

ვფიქრობ, უნივერსიტეტი მარადიული ამბავია. მარადიული სიყვარული. მე მას სიყვარულს ვერაფრით ავუხსნიდი. პატარა ტექსტით ვეცადე. გამომივიდა თუ არა – თავად განსაჯეთ”.

მაკა ლდოკონელი კი ამბობს: „უნივერსიტეტში ”ლიტერატურულ დაბრუნებას” სიახლის აღმოჩენა, კარგად დავიწყებულის გახსენება ახლდა თან. ჩემს სტუდენტობას ორი ათეული წელიც არ მაშორებს, თუმცა, დიდი ხნის წინანდელი ამბავივით მაქვს შენახული მოგონებებში, თითქოს სხვას გადახდა, მე კი, ცვლილებებით გაბრუებული, განზე ვიდექი, ვაკვირდებოდი და ველოდი. როგორც ჩანს, ერთი ბიძგი იყო საჭირო იმ დღეებისა თუ ადამიანების გასაცოცხლებლად, გაუმჟღავნებელი ფოტოებივით რომ იცდიდნენ.

ეს ბიძგი სწორედ Rettulit-მა მომცა.

ჩემს მოთხრობას „კალამუნები“ ჰქვია. ის რამდენიმე წერილრვეულისგან შედგება. თითოეულს თითო პერსონაჟი წერს (ყვება). ეს ნამდვილი ამბებია, ნამდვილი ადამიანები და ნამდვილი დრო! თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თითოეული გმირი ერთ კონკრეტულ პიროვნებას განასახიერებს. არა! ერთ პერსონაჟში რამდენიმე ადამიანია გაერთიანებული, ისინი 90-იანებს ირეკლავენ და გვახსენებენ. უცნაურ, ჯერაც დაუწერელ დროს – 90-იანებს, ჯერ კიდევ გამოკვლევა და სახელის დარქმევა რომ სჭირდება!

უნივერსიტეტი? ერთ-ერთ რვეულში ვწერ: „ჩემი ახდენილი ოცნებების ნავსაყუდელია-მეთქი.“ ასეც იყო.”

„უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი იყო ძალიან დიდი ღოზა ინტიმის, სიყვარულის. ეს არის გრძნობა უნივერსიტეტისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომელშიც გავიზარდე, როგორც პიროვნება, ლიტერატორი, მწერალი. ეს ყველაფერი კი უბრალო ოცნებით დაიწყო. უნივერსიტეტის ეზო იყო ჩვენი პატარა მწვანე აუდიტორია, სადაც ვიკრიბებოდით. აქ დადიოდა რამოდენიმე თაობის მწერალი, ჩვენს გვერდით იყო შოთა ჩანტლაძე, ჯემალ აჯიაშვილი, თედო ბეგიშვილი, ჯარჯი ფხოველი თუ სოსო პაიჭაძე, ყველას ვერ ჩამოვთვლი. მე, ჯემალ აჯიაშვილს და

გაგრძელება მე-4 გვ.

რექტორის სვეტი

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს) ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას, რომელმაც ქვეყანაში უმაღლესი განათლების სტანდარტისა და ტრადიციის დამკვიდრების დიდი მისია იკისრა.

მას შემდეგ 95 წელი გავიდა. დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 6 ფაკულტეტია და 22 000 -მდე სტუდენტი სწავლობს. თსუ რჩება საუკეთესო სახელმწიფო უნივერსიტეტად, რომელზეც არჩევანს საქართველოში ყველაზე მეტი და ყველაზე რეიტინგული აბიტურიენტი აკეთებს.

უნივერსიტეტში და მის ინსტიტუტებში დღეს მთლიანად საქართველოში მიმდინარე კვლევების 40 პროცენტამდე ხორციელდება.

აქ სტუდენტს, რომელიც მეცნიერებას მიყვება, აქვს საშუალება თავიდანვე გახდეს დიდი სამეცნიერო ქსელის ნაწილი. ამას ხელს უწყობს ტრადიციაც – 95 წლის მანძილზე თსუ-ში საფუძველი ჩაეყარა ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის და სხვა) დიდ სკოლებს. უნივერსიტეტს აქვს უზარმაზარი სამეცნიერო ბაზებიც. მას შემდეგ, რაც თსუ გაერთიანდა 16 სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან, ეს ბაზა კიდევ უფრო გაიზარდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეს არის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა. ამასთან, ყველა კორპუსში ყველა მიმართულების ფაკულტეტს აქვს საკუთარი წიგნადი ფონდი, რომელიც ერთიან სივრცეშია მოქცეული. ვმუშაობთ, რომ უნივერსიტეტი ჩა-ერთოს მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში. ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ონლაინ ტექნოლოგიები. მალე დავამთავრებთ მოლაპარაკებას ტომპსონის ბაზასთან, რომელსაც ყველაზე ძლიერი სამეცნიერო რესურსი აქვს და ამ რესურს შევისყიდით.

დღეისთვის უნივერსიტეტს 300-მდე მემორანდუმი აქვს გაფორმებული უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, აქედან დაახლოებით 100-მდე აქტიურ ფაზაშია და მუშაობს. მარტო გერმანიაში თსუ-ს ურთიერთობა აქვს 44 უნივერსიტეტთან – როგორც სტუდენტების, ასევე პროფესურის გაცვლითი პროგრამებისა და საერთო სამაგისტრო პროგრამების მეშვეობით.

უნივერსიტეტების გარდა, თსუ თანამშრომლობს ძლიერ სამეცნიერო ცენტრებთან – ცერნთან, ატლასის პროექტებთან, ასევე ექსპერტული ფიზიკის ცენტრთან – იულიხის ცენტრთან გერმანიაში.

2013 წელს იგეგმება საუნივერსიტეტო სამაგისტრო სკოლის (Graduate School) გახსნა, რომელიც კოორდინირებას გაუწევს სამაგისტრო პროგრამებს და დაეხმარება სტუდენტს შესაბამისი არჩევანის გაკეთებაში.

სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლისა და დასაქმების გასაიოლებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბოლო წლების განმავლობაში ხელი მოაწერა მემორანდუმს უამრავ, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან სტუდენტების და მაგისტრანტების დასაქმებით და მათთვის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით.

ამას გარდა, თსუ დღესაც რჩება სტუდენტური და ახალგაზრდული პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ცენტრად საქართველოსი.

2013 წელი, 95 წელი თსუ-ს დაარსებიდან, ჩვენთვის კვლავ ახალი გამოწვევების წელია. თითქმის საუკუნოვანი გამოცდილება უნივერსიტეტისთვის უპირატესობაცაა და დიდი ტვირთიც – დღეს ჩვენ უნდა შევძლოთ უნივერსიტეტს შევუნარჩუნოთ საუკეთესო ტრადიციები და, ამავდროულად, ვუპასუხოთ ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნებს. რათა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტმა კვლავ გააგრძელოს ქვეყანაში უმაღლესი განათლების სტანდარტისა და ტრადიციის დამ-კვიდრების დიდი მისიის ტარება.

ალექსანდრე კვიტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი



„თსუ-მეცნიერება“

გამოცემა მათთვის, ვისაც მეცნიერება აინტერესებს

პირველი გვერდიდან

პირველია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში საქართველოდან გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების რაოდენობითაც. ასე რომ, ბუნებრივად გაჩნდა სურვილი – იმ მიღწევების შესახებ, რომელიც ქართველ მეცნიერებს აქვთ, მეტ ადამიანს გაეგო. პოპულარული ფორმატიც სპეციალურად შეირჩა – ჟურნალის სამიზნე აუდიტორია არ არიან მხოლოდ კონკრეტული თემატიკით დაინტერესებული მეცნიერები. ჩვენ ვცდილობთ სამეცნიერო შედეგების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო, აკადემიურ, ფართო საზოგადოებრივ წრეებს. ყველა ადამიანისთვის გასაგებ ენაზე მოვყვეთ ჩვენი მეცნიერების კვლევების შესახებ და დავამტკიცოთ, რომ ქართული მეცნიერება კონკურენტუნარიანია საერთაშორისო სამეცნიერო სარბიელზე“ – ამბობს ჟურნალის რედაქტორი თამარ ხორბალაძე.

მისი თქმით, ჟურნალის შექმნაში, თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად, რექტორის ხელმძღვანელობით, თსუ სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი, ასევე ყველა ფაკულტეტი და სამეცნიერო ინსტიტუტი არის ჩართული. პირველი ნომრის შემდეგ ჟურნალის მიმართ ინტერესი და ნდობა მეცნიერების მხრიდან გაიზარდა და, ამიტომ, გასაშუქებელი თემებიც სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ამ ეტაპზე ჟურნალისთვის ის სამეცნიერო კვლევები ირჩევა, რომლებსაც უკვე აქვთ მოპოვებული საერთაშორისო აღიარება სხვადასხვა ფორმით – მიღებული აქვთ საერთაშორისო ან აღგილობრივი გრანტები, შედეგები წარდგენილია საერთაშორისო კონფერენციებზე, ციტირებულია ცნობილი მეცნიერებისა და უნივერსიტეტების მიერ, არის საერთაშორისო პროექტის ნაწილი და ა.შ. შერჩევის დროს სარედაქციო საბჭო ასევე ითვალისწინებს იმას, რომ ჟურნალში წარმოდგენილი იყოს კვლევები ყველა სფეროდან – ამასთან, ამ კვლევების შესახებ შესაძლებელი იყოს არაპროფესიონალისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაცის გადმოცემა, კვლევებს კი გააჩნდეს მაღალი სამეცნიერო და ასევე პრაქტიკული თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ჟურნალი „თსუ-მეცნიერება“ წელიწადში ორჯერ გამოდის და იგი ორენოვანია – ქართულ-ინგლისური. სამეცნიერო კვლევების გარდა, აქ შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია თსუ ინსტიტუტებსა და სამეცნიერო-კვლევით რესურსებზე, კონფერენციებზე, დისერტაციებზე და ა.შ.

ჟურნალის მესამე ნომერი საზოგადოების სამსჯავროზე თებერვლის დასაწყისში გამოვა. მასში, იდეის შესაბამისად, 25-მდე სამეცნიერო კვლევაზე თუ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე იქნება საუბარი. მათ შორისაა შემდეგი თემებიც:

საქართველოში სხვა ადამიანებისადმი ნდობა საკმაოდ დაბალია. ახალგაზრდა თაობა გაცილებით რელიგიურია უფროს თაობასთან შედარებით, ამასთან – გაცილებით ნაკლებად ტოლერანტული არარელიგიური ჯგუფების მიმართ. ქვეყანაში თვითიდენტიფიკაციის დროს ქრისტიანობას გაცილებით მაღალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე – მოქალაქეობას; უმეტესობისთვის დემოკრატია და მისი ისეთ მახასიათებლები, როგორიცაა პროტესტი, სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა, მნიშვნელოვანი ღირებულებაა. თუმცა, ამასთანავე, ბევრს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი მიზნისთვის სახელმწიფოს შეუძლია კანონიც დაარღვიოს. – ეს მხოლოდ ნაწილია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ნანა სუმბაძის კვლევიდან „თაობები და ღირებულებები“, რომლის შესახებ დაინტერესებული მკითხველი ჟურნალის „თსუ- მეცნიერება“ მესამე ნომერში წაიკითხავს;

ამავე ნომერში გაიგებთ, თუ როგორია ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში; როგორ აისახება საქართველოს სოციოკულტურული თავისებურებები საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებზე. – ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობენ თსუ მკვლევარები კვლევის – „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო საქართველოში” ფარგლებში.

მათემატიკა, რომელიც ზუსტ მეცნიერებად მიიჩნევა შეიძლება სულაც არ იყოს ზუსტი. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, არც ორჯერ ორია ყოველთვის ოთხი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საკითხს რა კუთხით მიუდგები. თურმე ნებისმიერი გეომეტრიული ფიგურა, შესაძლოა, განისაზღვროს რაღაც ალგებრული სტრუქტურით, რომელიც შეკრებას, გამრავლებას, გაყოფას და კიდევ სხვა არითმეტიკულ ოპერაციებს მოიცავს. – ამ ყველაფერს ჟურნალში “ალგებრულ ობიექტთა მინიმალური მოდელების” თეორემის ავტორი, თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების გამგე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი თორნიკე ქადეიშვილი განმარტავს.

ქართველი მეცნიერების მიერ კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ შედეგებზე სტატიაში კი საუბარია წვლილზე, რომელიც თსუ არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ღღობათა ელექტროლიზის ლაბორატორიის წარმომადგენლებმა შეიტანეს იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელზეც მსოფლიოს მეცნიერები ბოლო ათწლეულებია აქტიურად მუშაობენ.

ქართულ ისტორიულ წყაროებში შენახულ კავკასიის ისტორიაზე მოგვითხრობს სტატია, რომელიც თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების კვლევის შედეგებს მიეძღვნა.

ბრონქული ასთმის პროგნოზირების მათემატიკური მოდელირების სიახლეები, მანგანუმით დაბინძურების გარემოს გავლენა ბავშვების ჯანმრთელობაზე, „თმის სოკოს“ გავრცელების გეოგრაფია საქართველოში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორების მიერ ამ თემებზე წარმოებული კვლევების შედეგების შესახებ ჟურნალის მესამე ნომერში წაიკითხავთ.

ადამიანის უკონტროლო ზემოქმედება ბუნებაზე დიდ საფრთხეს უქმნის არა მარტო თვითონ ბუნებას, არამედ ადამიანის არსებობას. იმის გასარკვევად, თუ რა თავისებურებები შეიმჩნევა საქართველოს ტერიტორიაზე გეოეკოლოგიური თვალსაზრისით, თსუ კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის გეოეკოლოგიის და გამოყენებითი გეოქიმიის განყოფილების მეცნიერებმა კვლევა 2005-2010 წლებში ჩაატარეს. მის შედეგებს მკითხველს ჟურნალში თავად გააცნობენ.

რამდენად წარმატებულად დაინერგა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი? რა სხვაობა და მსგავსებაა ქართულ და ევროპულ სამართალს შორის? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას კი თავისი კვლევებით ჟურნალში თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეცნიერები ცდილობენ.

ეს მხოლოდ ნაწილია „თსუ მეცნიერების“ მესამე ნომერში განხილული საკითხებისა. მკითხველს მისი ნახვისა და წაკითხვის საშუალება უკვე თებერვლიდან ექნება.

„Rettulit – ლიტერატურული დაბრუნება” – წიგნი უნივერსიტეტგე უნივერსიტეტელებისთვის

მესამე გვერდიდან



წიგნის ილუსტრაციებიდან

თედო ბეგიშვილს ვერის აღმართზე, რომ ავდიოდით, ერთადერთი დიდი ნატვრა გვქონდა, როგორმე ხელნაწერი ჟურნალი გამოგვეცა. ამის გახსენება ახლა ღიმილის მომგვრელია, რადგან გულუბრყვილო ხალხი ვიყავით და ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ამხელა გამომცემლობის გამომცემელი და დირექტორი ვიქნებოდი, როგორიც არის „გამომცემლობა მერანი”, მანამდე იყო „ცისკარი“, – ამბობს გივი აღხაზიშვილი.

როგორც უფროსი თაობის მწერალი იხსენებს, მას და მის თაობას უნივერსიტეტი ლეგენდად, მითოსად ქცეული ჰქონდათ: ”ასეთი დამოკიდებულება გვქონდა იმ მასწავლებლების გამო (მთელ პროფესურას არ ვგულისხმობ), რომლებიც გვასწავლიდნენ. უნივერსიტეტში შევხვდი კორნელი კეკელიძეს, აქ მოდიდა შალვა ნუცუბიძე და კიდევ უამრავი ლეგენდა.... აქ ვკითხულობდით აკრძალულ ლიტერატურას, რომლის წასაკითხადაც რიგში ვდგებოდით. უნივერსიტეტს უკავშირდება ჩვენი პირველი ეშმაკობებიც, წაქეიფება, გოგონებთან სეირნობა“.

სურვილების ხე

მეორე გვერდიდან

მოვიფიქრეთ. გადავწყვიტეთ მაქსიმალურად შეგვექმნა საახალწლო განწყობა. ეს არ გახლდათ შეჯიბრი ან კონკურსი. უბრალოდ, გვსურდა მოგვეწყო ზეიმი, რომელშიც მაქსიმალურად ყველა სტუდენტი იქნებოდა ჩართული, მთელი უნივერსიტეტისთვის იქნებოდა განკუთვნილი. თუმცა, ფაქტია, რომ შედეგად, ერთგვარად არაოფიციალური გამოკითხვაც მივიღეთ. უფრო კარგად ვიცით, თუ რა სურთ სტუდენტებს ამ დროისთვის, რა პროექტების და ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო მათი სურვილებიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე”. – აცხადებს პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელი ნინო კალანდია.

ოთხმეტრიან ნაძვის ხეზე შებმულ, უნივერსიტეტის ლოგოს სიმბოლოებით გაფორმებულ ბარათებში ზოგი საკუთარ თავს, ახლობლებს ბედნიერებას უსურვებდა; სტუდენტების ნაწილი უნივერსიტეტში ბუფეტის გახსნას, ექსკურსიას ან დასაქმებას ითხოვდა; ზოგს კი საჩუქრად „I-Pad“-ს, ან ტკბილეულით სავსე ყუთის მიღება სურდა. სურვილები იყო როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიურ-მასშტაბური ხასიათის, რომელთაც თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი პირადად გაეცნო.

2013 წლის 8 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილეზე, დაპირებისამებრ, სამი ყველაზე ორიგინალური და მოტივირებული სურვილის ავტორი დასახელდება, რომელთა შესრულებაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იზრუნებს.

„მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი საინტერესო სურვილი იყო, გადავწყვიტეთ აქცენტი ისეთებზე გაგვეკეთებინა, რომლებიც, გარდა იმისა რომ თსუსთან იქნებოდა დაკავშირებული, რაც შეიძლებოდა მეტ ადამიანს შეეხებოდა და ორიგინალურიც იქნებოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სტუდენტების სხვა სურვილები უყურადღებოდ დაგვრჩება. ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ვეცდებით ეტაპობრივად მათ გათვალისწინებას და შესაბამისი აქტივობების განხორციელებას. ცნობისათვის, მათი გარკვეული ნაწილი უკვე დაგეგმილიცაა.“ – აცხადებენ ღონისძიების ორგანიზატორები.

მანამდე კი ადმინისტრაციის სახელით ერთ-ერთ სტუდენტს უკვე დაურეკეს და დაუდასტურეს ერთ-ერთი სურვილის ავტორის სიყვარული.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge